

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 12 ივნისის ბრძანება №01-263/ო - ვებგვერდი, 15.06.2020წ.



საქართველოს კულტურული  
მოწიფერებისა და კურორტული  
კურორტის სამსახური  
სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის პირობების ინსპექტირების  
დეპარტამენტი

**ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!**

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები  
„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“  
რეგისტრირებული ზოგიერთი ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის**

### **მირითადი რეკომენდაციები:**

- ბენეფიციართა მიღება ორგანიზაციაში უზრუნველყავით წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;
- შეიმუშავეთ საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;
- უზრუნველყავით ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით;
- უზრუნველყავით ბენეფიციართა განთავსება სამუშაო/სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პერსონალის პირისპირ;
- შესასვლელთან განახორციელეთ თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ როგორც პერსონალის, ასევე, ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინეთ აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მიმართეთ 112-ის ცხელ წაზს;
- დაწესებულებისა და სასადილოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- უზრუნველყავით პერსონალისა და ბენეფიციარების შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით - ნიღბები, სახის ფარები და სხვა);
- უზრუნველყავით დაწესებულებაში ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები) სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა და გაშრობა, გამოიყენეთ ხელების დეზინფექტანქტი - 60%-70%-იანი სპირტის შემცველობის სადეზინფექციო საშუალებები;
- სათანადო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენის წესები;
- პერსონალისთვის ხელმისაწვდომ სათანადოდ დაცულ ადგილას განათავსეთ ხელის სადეზინფექციო ხსნარები. პერსონალმა უზრუნველყოს ბენეფიციართათვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა;
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყავით სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება (ფეხის პედლის შესაძლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;
- უზრუნველყავით სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და სხვა, პერსონალისა და ბენეფიციართა მიერ, ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად;

- უზრუნველყავით სანიტარული წერტილების დასუფთავება/დეზინფექცია დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
- უზრუნველყავით სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ი ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით;
- სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალი აღჭურვეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
  - ნიღაბი;
  - სახის დამცავი ფარი;
  - ხელთათმანი;
  - ერთჯერადი ხალათი (დამლაგებლისთვის).

#### **დასუფთავება-დეზინფექციას ექვემდებარება შშმ პირებისთვის აუცილებელი ინვენტარი:**

- ეტლის, კიდურების პროთეზის, სმენის აპარატის, სიარულის საყრდენის („ხადულკა“), პანდუსის აბაზანის აქსესუარების შშმ პირებისთვის ხელჩასავლების, დასაკიდი ხელსაბანის, მოძრავი სარკის და ა.შ. დასუფთავება პერსონალმა უნდა განხორციელოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით;
- შესაძლებელია დასუფთავება-დეზინფექციისთვის გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი ან სპეციალური დანიშნულების ინვენტარი და მოწყობილობები. მრავალჯერადი გამოყენების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სამუშაოს დამთავრების შემდგომ უნდა იყოს დეზინფიცირებული (მაგ: 0.5%-იანი ნატრიუმის ჰიდროკლორიდი ან 60-70%-იანი ეთანოლი);
- საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის რეკომენდაციები. დასუფთავებისა და დეზინფექციის განმახორციელებელი პირების უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია სათანადო ინდივიდუალური საშუალებების (ნიღაბი და სახის ფარი ერთად, სქელი საყოფაცხოვრებო ხელთათმანები) გამოყენება და ობიექტის განიავება;
- თუ კომერციულად დამზადებული სადეზინფექციო საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი, სადეზინფექციოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქლორის შემცველი საყოფაცხოვრებო ხსნარის განზავებული კონცენტრაცია. ქლორის მინიმალური კონცენტრაცია უნდა იყოს 5000 ppm ან 0.5% (5%-იანი ქლორის შემცველი თხევადი ხსნარის 1:9 განზავების ექვივალენტი).

#### **ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციისთვის:**

- ბენეფიციართა მომსახურების მიწოდების პროცესში პროცედურებისთვის გამოსაყენებელი ინვენტარი არ უნდა იყოს რბილი, შეწოვადი. გამოყენეთ პოლიეთილენის/ქსოვილის ერთჯერადი გადასაფარებელი, გამოყენების შემდგომ განათავსეთ ნარჩენებისთვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერში;
- პროცედურის დროს ერთდროულად რამდენიმე ბენეფიციარის მომსახურების შემთხვევაში დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მეტრისა);

**ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამების, განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის პროგრამების და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციისთვის:**

- პერსონალმა არ უნდა განახორციელოს ვიზიტი ბენეფიციარის ოჯახში/ბუნებრივ გარემოში იმ შემთხვევაში, თუ:
  - ბენეფიციარმა ან/და ბენეფიციარის ოჯახის წევრმა დატოვა ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის ზონა ბოლო 14 დღის განმავლობაში;
  - ბოლო 14 დღის განმავლობაში ბენეფიციარი ან/და ბენეფიციარის ოჯახის წევრი მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
  - აღნიშნება რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.).
- სპეციალისტი ვალდებულია თითოეული ბენეფიციარის ინდივიდუალური გეგმიდან გამომდინარე, ინდივიდუალური მუშაობისას მაქსიმალურად დაიცვას ინფექციის პრევენციის ღონისძიებები (ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები : დამცავი ფარი ან ნიღაბი, ხელთათმანი).
- ჯგუფური მუშაობის პირობებში უნდა გამოიყენოს პერსონალისა და ბენეფიციარების ცვლებში მუშაობის რეჟიმი და დაიცვას უსაფრთხო დისტანცია.

### **მოთხოვნები დღის ცენტრისთვის**

#### **ბენეფიციართა საკვებით უზრუნველყოფის ჰიგიენური პირობები:**

- ბენეფიციართათვის განკუთვნილი სურსათის მომზადებისას დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი პირობების დაცვა:
  - სურსათის გაციების, გაყინვის და თერმული დამუშავების დროს დაიცვას ტემპერატურული რეჟიმები;
  - პერსონალის მიერ გამოყენებული იქნეს ერთჯერადი ნიღაბი ან დამცავი ფარი, თავსაბურავი და ხელთათმანი;
  - ხელების დაბანა მოხდეს ხშირად, თხევადი საპნით და წყლით; ერთჯერადი ხელსახოცით ხელის გამშრალების შემდეგ მოხდეს ხელების დეზინფექცია 60-70% სპირტის შემცველი ხსნარით;
  - ყველა იმ ზედაპირის და ინვენტარის, რომელსაც შეხება აქვს სურსათთან, რეცხვა-დეზინფექცია მოხდეს გაზრდილი სიხშირით და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით.

#### **კვების ბლოკებისთვის:**

- დარბაზში უზრუნველყავით მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:
- მაგიდებს შორის დაიცავით უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
  - ერთ მაგიდასთან განთავსებულ მომხმარებლებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია;
  - ერთი ადამიანის განთავსებისთვის საჭირო ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2,25 მ<sup>2</sup>-ს;
  - სკამის საზურგებს შორის მანძილი არანაკლებ 1 მეტრი;
  - ერთ მაგიდასთან მოათავსეთ არა უმეტეს 6 ბენეფიციარისა;
  - დახურული სივრცეები უზრუნველყავით ბუნებრივი ვენტილაციით. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენეთ ხელოვნური ვენტილაცია, გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. დააწესეთ საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;

#### **ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული უნდა იქნას შემდეგი პროცედურები:**

- სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ზონაში, შემდეგნაირად:
  - ჭურჭლი მექანიკურად უნდა გათავისუფლდეს საჭმლის ნარჩენებისგან;
  - გაირეცხოს არანაკლებ  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;
  - გაირეცხოს ხელმეორედ არანაკლებ  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხი საშუალების გამოყენებით მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;
  - გაივლოს არანაკლებ  $65^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
  - დაიწრიტოს და გაშრეს საწრეტზე;
- წვრილმანი ინვენტარი – დაფები, ნიჩბები, სათქვეფები და სხვა, ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ უნდა გაშრეს. სამზარეულოს ჭურჭლი ირეცხება ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით. ჭურჭლი უნდა გაივლოს არანაკლებ  $65^{\circ}\text{C}$  -იან ცხელ წყალში და დაიწრიტოს;
- ხელით რეცხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამგანყოფილებიანი ნიჟარები სასადილო ჭურჭლისათვის და ორგანყოფილებიანი შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობებისათვის. დასაშვებია, შეზღუდული ასორტიმენტის ორგანიზაციებში სასადილო ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა ორგანყოფილებიან სამზარეულოს ნიჟარებში;
- სარეცხ განყოფილებებში კედელზე უნდა გაიკრას ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

### **განსაკუთრებულად მიადგენეთ თვალყური:**

- ბენეფიციარებმა საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლისა და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანონ ხელები წყლითა და საპნით და კარგად გაიმშრალონ ერთჯერადი ხელის გასამშრალებელი საშუალებებით;
- ბენეფიციარის მდგომარეობის გათვალისწინებით მოარიდონ სხვებთან კონტაქტს, შეხებას, ჩახუტებას და ა.შ;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარონ სუფთა ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი (დაეხმარონ/ხელი შეუწყონ ბენეფიციარებს, ისწავლონ აღნიშნული ქცევები).

### **დასუფთავება და დეზინფექცია:**

- გაამკაცრეთ დასუფთავების და დეზინფექციის ზომები საერთო სივრცეებში (საპირფარეშოები, დერეფნები, დარბაზები, ლიფტები და ა. შ.);
- დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საგნებს, რომლებსაც ხშირად ეხებიან ხელით, როგორიცაა: სახელურები, ლიფტის ღილაკები, ჩამრთველები, კარის ღილაკები და ა.შ.;
- იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიპოკლორიდის გამოყენების შედეგად, გამოიყენეთ 60%-70% კონცენტრაციის სპირტის ხსნარები;
- დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დამატებით ჩაუტარეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი;
- საერთო სარგებლობის სივრცეების დალაგება/დეზინფექცია უნდა მოხდეს სველი წესით, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20220 წლის 25 მარტის № 01-123/ო ბრძანებით დამტკიცებული სათანადო დანართის შესაბამისად.

### **დამატებითი ინსტრუქცია სანიტარიული კვანძის დასუფთავებისთვის**

- სანიტარულ კვანძში დაცული უნდა იყოს სისუფთავე, რისთვისაც წინასწარ უნდა განისაზღროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;

- სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები;
- კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიუარების წმენდა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;
- დალაგების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: ხელთათმანები, სახის ფარი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას), ან ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
- დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
- დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებელია ხელების დაბანა;
- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი დაწესებულების ბენეფიციარებისა და იმ პერსონალისთვის, რომელთა საქმიანობა არ უკავშირდება მათ გამოყენებას.

### **შენიშვნა:**

- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში რეგისტრირებულმა ორგანიზაციებმა დამხმარე საშუალებების დამზადების პროცესში იხელმძღვანელონ „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული N4 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები სამთო-მოპოვებითი სექტორისთვის, წარმოებისა და დამამუშავებელი მრეწველობისთვის);
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში რეგისტრირებულმა ორგანიზაციებმა დამხმარე საშუალებების მორგება-რეაბილიტაციის პროცესში იხელმძღვანელონ ამ დანართით;
- ეს დანართი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფინანსებული სოციალური/სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მიუხედავად, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

**15 05**

**116 001**